

ოქტომბერი, 2012

ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობა ცდილობს ქვეყანა წარმოაჩინოს როგორც უახლოეს მომავალში რეგიონში წამყვანი ენერჯო-ექსპორტიორი ქვეყანა, რისთვისაც იგეგმება 30-მდე დიდი და საშუალო ჰესის მშენებლობა (დადგმული სიმძლავრე 2000 მგვტ). მათ რიცხვში შედის ხუდონ ჰესისა და ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობაც. აღნიშნული გეგმების განხორციელების შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება ბუნებრივ და სოციალურ გარემოს, წყლის ქვეშ აღმოჩნდება 3000 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული და ტყის მასივები, ათასობით ადამიანს კი, იძულებით მოუწევს საკუთარი მიწა-წყლის დატოვება ადექვატური კომპენსაციის გარეშე. მწვანე ალტერნატივამ გაანალიზა საქართველოს მთავრობის მიერ ინვესტორებთან დადებული 20-მდე ურთიერთგაგების მემორანდუმი და შეთანხმება. ანალიზი იძლევა შემდეგი ძირითადი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას:

1. ზამთრის პერიოდში კომპანიების მიერ საქართველოს ენერჯო-ბაზარზე ელექტროენერჯის სავალდებულო გაყიდვა ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული სტაბილურობის უზრუნველყოფას, წლის ყველაზე პრობლემურ პერიოდში, თუმცა, ელექტროენერჯის დადგენილ ტარიფზე დადებითად ეს, სავარაუდოდ, არ იმოქმედებს.
2. წარმოებული ელექტროენერჯის უდიდესი ნაწილი საექსპორტოდაა გამიზნული. საქართველოს კანონმდებლობით, ელექტროენერჯის ექსპორტი ნულოვანი განაკვეთით იბეგრება. ამდენად, წარმოებული ელექტროენერჯის რეალიზაციიდან ქვეყნის ბიუჯეტის მიერ მიღებული სარგებელი ოპტიმალური ვერ იქნება.
3. არ არსებობს გარანტიები/დათქმები ადგილობრივი კადრების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს შრომით მიგრაციას (უცხოური წარმოშობის იაფი, ზოგ შემთხვევაში კი, უფრო კვალიფიციური მუშახელის შემოდინებას) და არა ადგილობრივი მუშახელის დასაქმებას. ანალოგიური ვითარებაა ადგილობრივი კომპანიების საქონლის/მომსახურების შექმნასთან დაკავშირებით - აქაც არ არის დადგენილი დათქმები.
4. არ არსებობს დათქმა ახალი ტექნოლოგიების სავალდებულო დანერგვასთან დაკავშირებით; ამდენად, არსებობს დიდი ალბათობა, რომ სიიაფის გამო, კომპანიებმა დანერგონ მოძველებული ტექნოლოგიები, რომლებიც როგორც ტექნიკური, ისე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, მეტი რისკების შემცველია და გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა, წამგებიანიც კი იყოს.
5. არ არსებობს დათქმა ადგილობრივი თემების ინტერესების და ზოგადად, სოციალური და კულტურული საკითხების გათვალისწინებასთან დაკავშირებით. ამდენად, დაგეგმილი პროექტების განხორციელებამ, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებზე და სოციალურ მდგომარეობაზე, გამოიწვიოს კონფლიქტური სიტუაციები და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები.
6. არ არსებობს დათქმა პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.
7. გაიზრდება გარემოს დეგრადაციის ხარისხი, ვინაიდან ამჟამად საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მეტად სუსტია, ისევე როგორც სუსტია

თბილისი, 0179, საქართველო  
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.  
ტელეფონი: (995 32) 229 27 73  
ფაქსი: (995 32) 222 38 74  
ელ.ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org)  
ვებ-გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუცია. გარდა ამისა, თავად მემორანდუმებისა და შეთანხმებების პირობები იმგვარადაა დადგენილი, რომ ხელს უწყობს ინვესტორთა მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების იგნორირებას.

8. ენერგეტიკული პროექტები საჭიროებს გარკვეული რაოდენობის მიწას, რომლის ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია, ნაწილი კი, კერძო/სათემო საკუთრებაში ან/და სარგებლობაში. ვინაიდან საქართველოში დღემდე არ არსებობს განვითარების პროექტების გამო იძულებითი განსახლების პოლიტიკა, პროცედურები და პასუხისმგებელი უწყებები, დაგეგმილი ენერგეტიკული პროექტების განხორციელება ნეგატიურად აისახება ადგილობრივი თემების სოციალურ მდგომარეობაზე; ძალზე დიდია ალბათობა (და პრაქტიკაშიც უკვე აჩვენა), რომ პროექტების საჭიროებისთვის მიწის შეძენა წარმართება ადამიანის უფლებათა დარღვევებით.

9. ზოგ შემთხვევაში, ინვესტორებთან დადებული შეთანხმებები ითვალისწინებს პროექტებისთვის აუცილებელი მიწისა და მასთან დაკავშირებული ყველა არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად, 1 აშშ დოლარად კომპანიებისთვის გადაცემის შესაძლებლობას. გარდა ამისა, კომპანიებს უფლება აქვთ (ზოგ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის თანხმობით) აღნიშნული ქონება გამოიყენონ მათ მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფისთვის. გადაცემული ქონების ნაციონალიზაციის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა ვალდებულია კომპანიას სიმბოლურ ფასად მიღებული ქონების (ისევე, როგორც სხვა ნაციონალიზებული ქონების) ღირებულება აუნაზღაუროს სამართლიანი საბაზრო ფასით.

### **რეკომენდაციები:**

1. აუცილებელია, გადაიხედოს ინვესტორებთან ჰიდროენერგეტიკული პროექტების თაობაზე დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და შეთანხმებები;
2. პროექტების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ობიექტურად და სრულფასოვნად შესრულებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე;
3. აუცილებელია შემუშავდეს განვითარების პროექტებით გამოწვეული იძულებითი განსახლების ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც შესაბამისობაში იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს მიერ საერთაშორისო შეთანხმებებით აღებულ ვალდებულებებთან.

### **ბიუჯეტი და განრიგი:**

1. პირველი რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები არ მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს (საჭირო იქნება მხოლოდ ექსპერტული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება); აქვე გასათვალისწინებელია, რომ ინვესტორებთან დადებული მემორანდუმებისა და შეთანხმებების პირობების ცვლილება მოითხოვს სიფრთხილეს, რათა სახელმწიფომ თავიდან აიცილოს პირობების/ვალდებულებების სავარაუდო დარღვევით გამოწვეული ფინანსური სანქციები. ამ რეკომენდაციის შესრულებას სავარაუდოდ დასჭირდება 6 -12 თვის ვადა.
2. მეორე რეკომენდაცია არ მოითხოვს სახელმწიფოს მიერ დამატებით ფინანსური სახსრების გამოყოფას და უნდა განხორციელდეს რუტინულად, სახელმწიფო ორგანოების მიერ ამა თუ იმ პროექტისთვის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე ინვესტორებთან მემორანდუმებისა და შეთანხმებების დადების/გადახედვის პროცესში.
3. მესამე რეკომენდაციის შესრულება მოითხოვს გარკვეული დაუზუსტებელი რაოდენობის დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებული იქნება: შესაბამისი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებასთან და შესაბამის კომპეტენტურ უწყება(ებ)ში შესაძლებლობების (ფინანსური და ადამიანური რესურსები) ზრდასთან. რეკომენდაციის შესრულება სავარაუდოდ მოითხოვს 1-1.5 წელს.